

იოსებ გრიშაშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ელ-ფოსტა: avtandil.nikoleishvili@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-3339-2778>

აბსტრაქტი: მიუხედავად იმისა, რომ აზრის თავისუფლად გამოხატვა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში რუსული მმართველობის არსებობის ყოველ ეტაპზე ჰქონდათ მკაცრად შეზღუდული, მეფის დროინდელ რუსეთსა და საბჭოთა კავშირში ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობანი მაინც მნიშვნელოვანწილად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. კერძოდ, საბჭოთა რეჟიმამდელ პერიოდში აზრის გამოხატვის მხრივ უფრო მეტი თავისუფლება არსებობდა, ვიდრე კომუნისტური მმართველობის დროს. ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამდელი დროის ჩვენი მწერლობა გაცილებით ნაკლებად იყო კონიუნქტურული, ვიდრე შემდგომი პერიოდისა. სამწუხაროდ, საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მწერალთა დიდი ნაწილის მსგავსად, ამ მოვლენამ იოსებ გრიშაშვილის (1889-1965 წწ.) შემოქმედებასაც დაასვა ღარი. კერძოდ, 1930-იანი წლებიდან დაწერილ მის ლექსებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იმ ლექსებმა, რომლებშიც იმდროინდელ იდეოლოგიურ მოთხოვნათა შესატყვისი ფორმით იყო განდიდებული საბჭოთა სინამდვილე. აღნიშნული ლექსებისგან განსხვავებით, 1910-1920-იან წლებში შექმნილ ლექსებში იოსებ გრიშაშვილმა რადიკალურად განსხვავებული სახით გამოხატა თავისი ეროვნული თვალთახედვა. კერძოდ, იმხანად შექმნილი პოეტური ტექსტებით იგი უკომპრომისოდ ავლენდა თავის ოპოზიციურ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსული ოკუპაციისადმი. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამ ლექსების მხოლოდ ნაწილი იყო გამოქვეყნებული, ამგვარი სულისკვეთების გამომხატველი მისი ეს პოეტური ქმნილებანი ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული. ამ ლექსების შექმნის გამო პოეტი არაერთგზის იქცა დევნის ობიექტად. იოსებ გრიშაშვილისადმი ხელისუფლების მესვეურთა და საბჭოთა იდეოლოგიის მსახურ კრიტიკოსთა რეპრესიულმა დამოკიდებულებამ საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ 1930-იანი წლებიდან დაწყებული მისი შემოქმედება აშკარად მოექცა საბჭოთა იდეოლოგიის მარწუხებში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; აკაკი პაპავა; მამულიშვილი; 25 თებერვალი; „საქართველოს რესპუბლიკა“.

* * *

შესავალი. საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალთა ეროვნული მრწამსისა და ანტისაბჭოთა სულისკვეთების წარმომჩენი ტექსტების ძიების დროს ხელოვნურმა ინტელექტმა და გუგლმა ჩემთვის მანამდე უცნობი იმ წერილის ფრაგმენტიც ამომიგდო, რომლის ავტორადაც გრიგოლ რობაქიძე (1880-1962 წწ.) იყო დასახელებული. იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული პუბლიკაციის სავარაუდო ავტორისა და გრიგოლ რობაქიძის სტილური ინდივიდუალობანი ნაკლებად შეესაბამება ერთმანეთს, აქტიურად შევეცადე აღნიშნული სტატიის ნამდვილად დამწერის დადგენას.

ამ მიზნის მიღწევაში დახმარება გამიწია მალხაზ მაცაბერიძის წიგნმა - „სხვა 25 თებერვალი. სამი გაზეთი თავისუფალი საქართველოსთვის.“ 2014 წელს გამოცემულ ამ კრებულში მის შემდ-

გენელს გამოქვეყნებული აქვს 1921 წლის 25 თებერვლის სამ ქართულ გაზეთში: „საქართველოს რესპუბლიკაში“, „საქართველოსა“ და „ერთობაში“ დაბეჭდილი ის წერილები, რომელთა ავტორებიც ამ წერილების მეშვეობით ჩვენს ქვეყანაში იმხანად მიმდინარე მოვლენებს აფასებდნენ. მათ შორის გვხვდება „საქართველოს რესპუბლიკაში“ მამულიშვილის ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატიაც - „ძირს ბოლშევიკური იმპერიალიზმი“, რომელსაც ხელს აწერს ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი - მამულიშვილი (იხ. მაცაბერიძე, 2014: 31-33).

აღნიშნული ამბის შეტყობის შემდეგ, უწინარეს ყოვლისა, პუბლიკაციის პირველწყაროს ნახვა მოვიწოდებ, მაგრამ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჩემთვის საინტერესო ნომერს ვეღარსად მივაკვლიე. როგორც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მითხრეს, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის გამო 1921 წლის 25 თებერვალს ხსენებული გაზეთი უკვე აღარ გამოსულა.

იმის გასარკვევად, ეს ინფორმაცია რამდენად წარმოადგენდა სიმართლეს, ამჯერად თავად წიგნის ავტორს დაუკავშირდი. მისი თქმით, ეს ინფორმაცია მართალი არ იყო, რადგანაც „საქართველოს რესპუბლიკის“ 1921 წლის 25 თებერვლის ნომერი მას ე. წ. „იმელის“ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში პირადად ჰქონდა ნახული. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ „იმელის“ გაუქმების შემდეგ სხვადასხვა დაწესებულებებში გადანაწილებული მასალები დღემდე არ არის სრულყოფილად დამუშავებული, „საქართველოს რესპუბლიკის“ ხსენებული ნომრის ნახვა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, განსახილველი წერილი დამოწმებული მაქვს მ. მაცაბერიძის ზემოთ ხსენებული წიგნიდან.

მეთოდები. ნაშრომში საკვლევი პერიოდის მოვლენებთან იოსებ გრიშაშვილის დამოკიდებულება გაანალიზებულია ისტორიზმისა და ინტერპრეტირების მეთოდების გამოყენებით.

მსჯელობა. იქიდან გამომდინარე, რომ დამოწმებული პუბლიკაციის ავტორი განზოგადებული სახით წარმოაჩენს აგრესორი სახელმწიფოების, პირველ ყოვლისა კი რუსეთის, მიერ ჩვენი ქვეყნის მიმართ პერმანენტულად გატარებული დამპყრობლური პოლიტიკის ტრაგიკულ შედეგებს, ქვემოთ სრული სახით დავიმოწმებ ხსენებულ წერილს:

„უხსოვარ ღროიდან დღევანდლამდე მოდის და მოსტირის საქართველო, ქართველი ერი, თავის ბედს!..

ვის გინდათ, რომ არ მოესურვებინათ საქართველოს გასრესა, მისი გაცამტვერება?

რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, თურქები, მონღოლები. ოსმალები, სპარსელები, რუსები, სომხები - რიგრიგად სცდილობდნენ საქართველოს შემუსვრას, ქართველი ერის დამცირებას. ამ დაუსრულებელ შეხლა-შემოხლასა და ვაი უბედურებაში საქართველომ ბევრი რამ ნახა და ისწავლა, მაგრამ უფრო ბევრი ხრწნილება და ზეგავლენა განიცადა.

ზოგმა ქუდი დაგვიტოვა თავისი, ზოგმა ტანსაცმელი, ზოგმა ცბიერება, ზოგმა თვალთმაქცობა, ზოგმა უზნეობა, ზოგმა ენა შეგვირყვნა და ზოგმა რჯული, მაგრამ იმდენი ზარალი - ზნეობრივ-გონებრივი ზარალი, არავის მოუყენებია, როგორც მოგვაყენა რუსეთმა.

სხვა მტერი რომ შემოვიდოდა ხოლმე საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდა, ააწიოკებდა მას და კვლავ გარბოდა.

საქართველო რჩებოდა ისევ თვითარსად, თვითმმართველად, თავის თავის გამგებლად და ავად თუ კარგად, თვითვე უვლიდა თავის შინაურსა და გარეშე საქმეებს.

რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა.

მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ყაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, რომ დღესაც კი - რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი არამც თუ ძველი თაობა ალექსანდრე-ნიკოლოზის რეჟიმში აღზრდილი თაობა - არამედ ახალი თაობაც - რუსეთის ლიბერალიზმ-რევო-

ლუციაში გამოვლილი თაობაც კი ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ჟღმურტულებს.

ქართველ კაცს დაკარგული ჰქოდა თავის თავის იმედი, თავისებური აზროვნება, თავისებური განსხვავება ცხოვრებისა და საოცნებო იდეალებისა.

შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, ნინოშვილის, ალ. ყაზბეგის და სხვა ქართველ მწერალთა მოდგმისანი, გატაცებულან რუსული ლიტერატურით და გაგიჟებულან იმ დროს, როცა ერთი „კაკო ყაჩაღი“ მთელ რუსებს აჯობებს სამართლიანობით.

რუსის ცხოვრებამ, რუსის სკოლამ, რუსის ყაზარმამ და სატუსაღო ჟანდარმერიამ ჩვენს მეცნიერულ აზროვნებაშიც შეიტანა არევ-დარევა და იმდენად დაგვაშორა ქართველობას, რამდენადაც დაშორებულია თვით დღევანდელი რუსეთიც კი ქართულ სინამდვილეს.

მარტო ბრმა და ყრუ, ან ჯიუტი და მოღალატე ქართველი - მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა, თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უშზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთის ვითარების სიცხადე.

მაგრამ დღევანდელმა განსაცდელმა დაგვანახა, რომ ეროვნული სული არ ჩამკვდარა ჩვენს ხალხში, მასაში.

ეს დღე დიდად უბედური მტრის მოგერიებამდე, ხოლო ბედნიერი ამ მტრის უკუგდების შემდეგ, თავლები უნდა იყოს ჩვენში ახალი ხანის დაწყებისა. ამიერიდან იწყება ახალი საქართველო. ამიერიდან ჩვენ ორი დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი.

საუკუნო განადგურება საქართველოს მტრებისა, აღმოფხვრა ქართველის გულიდან რუსულ მონობის ნაშთებისა და გაწმენდა საქართველოს ისეთი უცხო ელემენტებისაგან, რომლებშიაც ქართველი ერის განსაცდელის ჟამი მხოლოდ სიამოვნებას იწვევს.

ეს ასე უნდა მოხდეს. ამას მოითხოვს საქართველოს მშრომელთა კლასის სასიცოცხლო ინტერესები. ყოველი საქმე, ყოველი დაწყობილება, ყოველი მოძღვრება, ყოველი იდეა ჯერ უნდა გატარდეს, გადაინარშოს ერის სულსა და გულში და მერე ისე გაკეთდეს და გავრცელდეს ხალხში. ბალშევიკური იდეა კი დიდი ხანია დაგმო ქართველმა ერმა. მამ რად ახვევენ მას თავზე თოფ-ზარბაზნების საშუალებით?!

გაუმარჯოს საქართველოს მთლიანს, სამართლიანს, მშრომელს და განათლებულს.

გაუმარჯოს სამშობლო საქართველოს, რომელიც არ მოინდომებს სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერების აშენებას, მაგრამ რომელიც არც სხვას მისცემს ნებას, რომ მის უბედურებით გაბედნიერდეს.

ძირს ბოლშევიკური იმპერიალიზმი.“

როგორც ითქვა, დამოწმებული წერილი გაზეთში მამულიშვილის ხელმოწერით იყო გამოქვეყნებული. იმის გამო, რომ მ. მიქაბერიძის ზემოთ ნახსენებ წიგნში ფსევდონიმს ამოფარებული ამ პუბლიკაციის ავტორის შესახებ არაფერია ნათქვამი, აქტიურად შევეცადე მისი ვინაობის გარკვევას, რის შედეგადაც ეჭვიმუტანლად გაირკვა, რომ დამოწმებული წერილის ავტორი იოსებ გრიშაშვილია (1889-1965 წწ.).

ამ მოსაზრების უტყუარობა პირველ ყოვლისა თავად იოსებ გრიშაშვილის მიერ გამოცემული ფსევდონიმების ლექსიკონით მტკიცდება, რომელშიც ხსენებულ ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნების ვინაობა ამგვარადაა დაკონკრეტებული: „მამულიშვილი = ი. გრიშაშვილი (წითელი დროშა, თბ. 1917. მოხდა უსიამოვნო ფაქტი - გამომცემელმა წიგნის გარეკანზე დააბეჭდინა: „მამულიშვილი,“ ფორზაცზე - „მამულიშვილი, ი. გრ.“ კრ-ლი, პირველი მაისი, გამომცემლობა „ამხანაგობა,“ ტფილისი, 1917“) (გრიშაშვილი, 1987: 45).

როგორც იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებიდან წინამდებარე წერილში დამოწმებული ტექსტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, 1921 წლის 25 თებერვალს იგი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საბედის-

წეროდ გარდამტეხ თარიღად მიიჩნევს. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდშიცა და 1920-იან წლებშიც პოეტი არა მარტო პოეტური სიტყვით ილაშქრებდა საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის წინააღმდეგ, არამედ პრაქტიკულ მონაწილეობასაც იღებდა იმხანად გამართულ საპროტესტო ღონისძიებებში.

სამწუხაროდ, იოსებ გრიშაშვილის იმდროინდელ შემოქმედებაში მძლავრად გამოვლენილი ეს ტენდენცია 1930-იანი წლებიდან იდეოლოგიურად კომპრომისული თვალთახედვით შეიცვალა, რაც საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული მმართველობითი პოლიტიკის გულსატკენ შედეგს წარმოადგენდა. სწორედ ამ რეალობის გამოვლინებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მის მანამდელ შემოქმედებაში მძლავრად გამოხტული ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვა საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური კონიუნქტურით აღმოჩნდა შებოჭილი.

რაც შეეხება იოსებ გრიშაშვილის ნამდვილ ეროვნულ თვალთახედვას, მასზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, ქვემოთ შევეცდები კონკრეტულად გავაანალიზო ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო მისი ის ლექსები, რომელნიც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში დამკვიდრებული ცენზურული შეზღუდვების ჯერ შერბილების, შემდეგ კი მოხსნის დროიდან გახდა მკითხველთათვის ხელმისაწვდომი.

როგორც ამ ლექსების დაწერის თარიღებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ეროვნული პრობლემატიკით იოსებ გრიშაშვილის განსაკუთრებული დაინტერესება არსებითად განაპირობა ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა, როგორებიცაა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების დასაცავად და განსაღიღებლად დაწერილი ამ ლექსების შექმნის გამო პოეტი არაერთგზის იქცა დევნის ობიექტად. იოსებ გრიშაშვილის ეროვნულ თვალთახედვაზე უფრო ცხადი და ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ხსენებული ლექსების ციკლიდან დავიმოწმებ ფრაგმენტს ერთ-ერთი მათგანიდან:

მეუფეო, ჩემი ლოცვა დღეს იქნება სულ სხვაგვარი,
მე არ მინდა სასწაულად მომივლინო ნინოს ჯვარი,
დღეს ჩემ გულში, მეუფეო, სულ სხვა ლოცვა ჩაისახა,
მე მინდა, რომ საქართველო - ეს სამოთხის შვების წყარო, -
მტრებს არ მივცე საჯირითოდ, შევიტკბო და შევიყვარო.
მეუფეო! ყოველ მხრიდან გვეხვეოდა მტერი გველად,
ჩვენი სულის ჩასაქრობად, ჩვენი ნიჭის ასაგველად,
სელჯუკები, მონღოლები გვეცემოდნენ ურდო-ურდოდ,
მაგრამ კმარა, მეუფეო, ადარ გვსურს გავიქურდოთ,
გვეყო, გვეყო ეს სასჯელი, ესოდენი ჭირი, სენი...
საქართველო, მეუფეო, დაიხსენი, დაიხსენი...

როგორც უკვე ითქვა, ეროვნული პრობლემის გააზრებამ ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში ახალი მასშტაბები შეიძინა რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში განვითარებულ იმ მოვლენათა შედეგად, რომელთაც პოეტმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა დაუკავშირა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ლექსია „1917 წელი“, რომელსაც ავტორმა ახალი „მარსელიოზას“ ჰანგზე დაწერილი სიმღერა უწოდა. პოეტი ფრთაშესხმული აღნიშნავს, რომ მეფის რუსეთის „ორთავიანი ბილწი არწივი“ დაემხო, რომ „აღსდგა, აზავთდა ტანჯული ერი“ და ახალ, თავისუფალ ცხოვრებას დაედო სათავე, რომ „ფერხთ განვიბერტყეთ მონობის მტვერი“. მისი აზრით, ეს რევოლუცია (იგულისხმება 1917 წლის

თებერვლის რევოლუცია), რომელმაც „მილენ-მოლენა კერპთა ბომონი“, ქვეყნად სამართლიანობას დაამყარებდა.

ხოლო 1917 წლის 29 აპრილს დაწერილ ლექსში - „დათოვლილი მედრომე“ რუსეთის კოლონიური უღლისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების რეალურ მოლოდინს პოეტმა ამ სტრიქონებით შეასხა ხოტბა: „ამირანმა დაფქვა ჯაჭვი, ცხრა მთას იქით გადიარა, შენ შეთოვლდი! და შენს ერსაც გაუმთელდა კვლავ იარა. ხომ აღსრულდა შენი ფიქრი! და ქართველებს სხვა რა გვინდა! - ჰა: ასი წლის ნაინატრი სულ ერთ წამში დაგვირგვინდა!“

მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, ამგვარი ეროვნული სულისკვეთების მქონე პოეტი როგორი ადფრთოვანებითაც შეხვდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. 1918 წელს დაწერილ ლექსში „სიმღერა“ ის მოწოდებით მიმართავდა ქართველ ხალხს, თავდადებით ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. თურქთა შემოტევისაგან მამულის დახსნის იდეა, რამაც იმდროინდელ ქართულ პოეზიაში მძაფრი გამოსახატულება ჰპოვა, ი. გრიშაშვილის შემოქმედებაშიც საკმაო სიმწვავით დაისვა:

გაირღვა შუქეთი! აწითლდა ცხოვლადა!
ჩამოდნა სხივები ვარდისფერ თოვლადა!
მებრძოლნი გამოჩნდნენ! დროშებით დგანან!
მეც ვყივი ჭაბუკნო! რას უცდით!
მახვილით მახვილსა! შეერთდით... დაჯგუფდით...
თამარის სამშობლო არ გიყვართ განა?..
მივბაძოთ მთიელებს: ფშაველსა, ხევსურსა!
მოჰქრიან! მღერიან სიმღერას ზევსურსა -
დავიხსნათ სამშობლო! დავიხსნათ მამული!

როგორც იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებიდან თვალნათლივ ჩანს, პოეტის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი უპირველეს ყოვლისა ამ ქვეყნის მესვეურთა მიერ საქართველოსადმი გატარებული ძალადობრივი პოლიტიკით იყო განპირობებული. კერძოდ, მის იმდროინდელ პოეზიაში მძლავრად გამოსატულ ანტიკომუნისტურ და ანტირუსულ სულისკვეთებას უმტკიცეს საფუძვლად დაედო განახლებული რუსული იმპერიის მესვეურთა ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ხელმეორედ დასაპყრობად. პოეტის საბრძოლო სულისკვეთებას ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს სძენდა ის ფაქტი, რომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარების საქმეში რუს ოკუპანტებზე უფრო მეტად საკუთარი სამშობლოს მოღალატე ქართველი კომუნისტები აქტიურობდნენ და სწორედ ისინი მოუძღოდნენ ამ ქვეყნის ჯარს ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად. პოეტის შეფასებით, ეს ადამიანები, რომელთაც იგი სამშობლოს „მოღალატეების, მსტოვრებისა და გამცემლების“ სახელებით მოიხსენიებს, მუმლივით ჰყავდნენ შემოხვეული საქართველოს.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ერთ-ერთი პირველი ლექსი - „საქართველოს მტრებს“ ი. გრიშაშვილმა 1919 წელს დაწერა. ამ ლექსის მეშვეობით მან უდიდესი გულისწყრომა გამოხატა იმ ადამიანთა მიმართ, რომელნიც გააფთრებით იბრძოდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე ახლად ფეხმდგმული ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ი. გრიშაშვილის ეროვნული მრწამსის ამ მხარეზე, დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ლექსიდან:

დღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ დარაზმა და დაამზადა
ყველა ჯურის მოღალატე, ვერაგი და ჰარამზადა...
და უნდათ, რომ საქართველო - ეს პატარა ნატვრის თვალი
კვლავ გახადონ სხვისი მონა, მორჩილი და შენამკრთალი...
ვიდრე ერთი ქართველიც კი სამშობლოსთვის ასე ზრუნავს,

არ მოჰკვდება საქართველო, მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს.

პოეტმა შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა განსაკუთრებით გაააქტიურა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წლებში. კერძოდ, იგი განახლებული ენერგიით ჩადგა მონობისგან თავდახსნილი სამშობლოს სამსახურში და აქტიურად დაუპირისპირად საკუთარი სამშობლოს მოღალატე იმათ, „ვინც ჩრდილოეთის ველურ ყაჩაღებს გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა“ („ავლაბარი,“ 1920 წ.).

ადვილი წარმოსადგენია, ასეთი მამულიშვილური მრწამსის მქონე პიროვნება რა შეფასებასაც მისცემდა 1921 წლის თებერვალში საქართველოში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს. ამ საბედისწერო ფაქტს ი. გრიშაშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა იმ დღეებშივე დაწერილი ლექსით – „ახალ ხელისუფლებას“ (ლექსს სხვადასხვა ვარიანტებში „რუსული ჩექმაც“ და „ქართველ ბოლშევიკებსაც“ ჰქვია), რომელშიც შემდეგნაირად გამოხატა თავისი ანტიბოლშევიკური და ანტირუსული სულისკვეთება:

მართალია, დღეს ეს ლექსი ბევრ კომუნისტს გააჯავრებს,
მაგრამ მაინც თამამ სიტყვას მოვასხენებ ახალ მთავრებს:
თქვენ ამბობდით: საქართველომ, რაც გინდ ბევრი გაიბრძოლოს,
დიდ რუსეთის კომუნისტად გადაიქცევა მაინც ბოლოს!
ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით, ჩვენც მიგიღეთ ცრემლით ცხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვის ხიშტით შემოხველით!..
ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ გამარჯვებულ რუსულ ჩექმას.

აი, რას იგონებს ამ ლექსთან დაკავშირებით პოეტი მარი აბრამიშვილი: „აპრილის ბოლო რიცხვებია.. თეატრში ვარ, ამჯერად გრიშაშვილის შემოქმედებით სადამოწუხ. ეს სადამოც დემონსტრაციებით იყო სავსე.

გრიშაშვილმა წაიკითხა სულ ახალი, ცხელ-ცხელი ლექსი „ქართველ ბოლშევიკებს,“ მიუბრუნდა მთავრობის ლოჟას და დაიწყო (მოგონების ავტორს სრულად აქვს დამოწმებული ხსენებული ლექსი - ა. ნ.).

შეძახილები დარბაზიდან - „მოღალატენო... წაეთრიეთ ჩვენგან, სისხლიანებო!“ და სხვა... დარბაზი ფეხზე იდგა და ყველას მუქარა მიმართული იყო ლოჟაში მჯდომ მახარაძეზე და კიდევ 2-3 კაცზე. ფარდა დაუშვეს, სინათლე ჩააქრეს, რასაც მოჰყვა ასჯერ მეტი ყიჟინა, ტაში და გრგვინვა: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ეს სადამო მიდიოდა ოპერის თეატრში, რომლის ფარდაზეც წინა წლებში გამოსახული ყოფილა საქართველოს სახელმწიფო გერბი, წმინდა გიორგი, ძალიან დიდი მხატვრის შესრულებული. ახლა კი მახარაძის განკარგულებით ეს დიდი ფარდა შეუღებიათ. და აი, ახლა დარბაზი რომ ჩააბნელეს, ხოლო სცენაზე ისევ სინათლე იყო და ეს უზარმაზარი ფარდა დაუშვეს, მოხდა ის, რომ წმინდა გიორგი უფრო მკაფიოდ, მთლიანად აღმართული მაცურებლის წინ, შუბს ხალხს უმიზნებდა. ზან-ზარებდა მთელი თეატრი და თხოულობდა სადამოს გაგრძელებას, თორემ ქუჩაში აპირებდა ხალხი გასვლას დემონსტრაციით. ის-ის იყო, ეწყობოდა კოლონები და დარბაზიც განათდა, კონცერტი გაგრძელდა. ლოჟა ცარიელი იყო. სიბნელეში გასულიყვნენ. ბევრი პოეტი გამოვიდა...

ყველაფერი აირია - სიტყვები, ლექსები სცენიდან და დარბაზიდან. აქვე ხელზე დაგვირიგეს გრიშაშვილის მეორე ლექსის ხელნაწერი, რომელიც შემზარავი იყო თავისი შინაარსით, ანთებული შურისძიების ცეცხლით. სათაური ჰქონდა „ფილმანს,“ ე. ი. ფილიპე მახარაძეს. ლექსი აღარ მახსოვს. აზრი ასეთი იყო: პოეტი წყევლიდა „ფილმანს,“ უსურვებდა, რომ, რაც მის ტანზე ბეწვი და ბუსუსია, მის ადგილას გამოსვლოდეს დიდი, გრძელი მახათები, ცოცხლად ჩაეკეტათ დიდ ყუთში და ეგორავებინათ მანამდის, სანამ ხორცი და ძვალი ყუთში არ გაქრებოდა...

იოსებ გრიშაშვილი დააპატიმრეს“ (გაზ. „კომუნისტი,“ 1990 წ. 22 აპრილი).

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებულ ცნობას გვაწვდის რევაზ კვერენჩილაძე. კერძოდ, მისი ინფორმაციით, ეს ამბავი 1922 წლის 3 დეკემბერს მომხდარა რუსთაველის თეატრში კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის - „ცხვრის წყაროს“ წარმოდგენის დროს. სპექტაკლის მიმდინარეობისას რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას საზოგადოებისთვის გამოუცხადებია, რომ დარბაზში მოსკოვიდან საქართველოში სტუმრად ჩამოსული სახელოვანი ქართველი რეჟისორი და მსახიობი, პოპულარული პატრიოტული პიესის - „დალატის“ ავტორი ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინიც იმჯოფებოდა. დარბაზს მისთვის მქუხარე ოვაცია გაუმართავს, ი. გრიშაშვილს კი მისადმი მიძღვნილი ის ლექსი წაუკითხავს, „რომლის პატრიოტული სულისკვეთება იმჟამად უფრო მკვეთრად გაისმა და „დალატის“ ავტორისადმი მიმართული გულმხურვალე მისალმება ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციაში გადაიზარდა...

ერთი დღის შემდეგ, 5 დეკემბერს, ი. გრიშაშვილს აპატიმრებენ. ჩუკაში ზეპირად გავრცელებული მრისხანე ლექსი „რუსული ჩექმაც“ გაუხსენეს“ (კვერენჩილაძე, 2014: 78).

რ. კვერენჩილაძისავე მტკიცებით, საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ პატიმრობიდან ი. გრიშაშვილის განთავისუფლების თხოვნით საგანგებო კომისიასთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა მწერალთა ჯგუფი კ. მაყაშვილის, კ. გამსახურდიასა და შ. დადიანის შემადგენლობით. მათმა თხოვნამ მართლაც გამოიღო დადებითი შედეგი და ი. გრიშაშვილი პატიმრობიდან განთავისუფლეს (კვერენჩილაძე, 2014: 79).

ი. გრიშაშვილის დაპატიმრებასთან და განთავისუფლებასთან დაკავშირებით აქ ის ვერსიაც მინდა გავიხსენო, რომელსაც პოეტი ნინო თარიშვილი გვთავაზობს გაზეთ „თბილისის“ 1988 წლის 56-ე ნომერში გამოქვეყნებული ი. კუკავას წერილის მეშვეობით. კერძოდ, მისი მონათხრობის მიხედვით, თბილისში სტუმრად მყოფი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის პატივსაცემად ქართველ საზოგადოებას თეატრში დიდი შემოქმედებითი საღამო გაუმართავს. საღამოს მსვლელობის დროს ი. გრიშაშვილს საპატიო სტუმრისთვის მისადმი მიძღვნილი ლექსით მიუმართავს, რასაც დიდი ოვაციები მოჰყოლია. საღამოს დასრულების შემდეგ კი პოეტი დაუპატიმრებიათ.

ნ. თარიშვილის ინფორმაციით, ამ ამბავმა თურმე ყველა იმდენად დააბნია, რომ გამოქომაგება ვერავინ გაბედა. მაშინ მას და ვასილ ბარნოვის ქალიშვილს, რომლებიც ი. გრიშაშვილის პოეზიის დიდი თაყვანისმცემლები ყოფილან, მორცხვობა დაუძლევიათ და პატიმრობიდან პოეტის განთავისუფლების თხოვნით ალ. სუმბათაშვილს შინ ხლებიან. მათ თხოვნას სასურველი შედეგი მოჰყოლია და გრიშაშვილი მართლაც გამოუშვიათ ციხიდან.

პატიმრობიდან ი. გრიშაშვილის განთავისუფლების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის შალვა დადიანიც. კერძოდ, აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში: დაპატიმრებული პოეტის ციხიდან განსათავისუფლებლად მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი მასთან ერთად წვევია შინსახკომის უფროსს კოტე ცინცაძეს. იოსებ გრიშაშვილის უდანაშაულობაში დასარწმუნებლად სტუმრებს ცინცაძისთვის უთქვამთ, რომ მას არავითარი პოლიტიკური ბრალი არ მიუძღოდა და პატიმრობიდან მისი განთავისუფლება უთხოვიათ. სტუმართა თხოვნის პასუხად, ცინცაძეს მათთვის უკითხავს, იმის თავმდები ვინ იქნება, მომავალში ისევ რომ არ ჩაიდენს რაიმე დანაშაულსო. კოტე მაყაშვილს რიხიანად უთქვამს, თავმდები მე და შალვა ვიქნებითო. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ცინცაძემ სტუმრებს თურმე ირონიულად გადახედა და ასეთი კითხვით მიმართა: თქვენ კი გენდობითო?

შალვა დადიანის თქმით, შინსახკომის თავმჯდომარის მიერ ნათქვამი ამ სიტყვების მოსმენაზე მაყაშვილი თურმე გაფითრდა, მას კი „გაელიმა, მაგრამ ეს დეჟა უფრო ყოფილა, ვიდრე დიმილი.“ მიუხედავად ამისა, ხსენებულ ვიზიტს სასურველი შედეგი მაინც მოუტანია და გრიშაშვილი პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ (დადიანი, 1962: 165).

იმ ინფორმაციულ სხვადასხვაობათა მიუხედავად, რაც ი. გრიშაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებული ამბის მოყოლის დროს დამოწმებულ მოგონებათა ავტორების მონათხრობებში ვლინდება, ერთი რამ აშკარად ცხადია - ხსენებული ინციდენტი ნამდვილად რომ დამთავრდა პოეტის დაპატიმრებითა და მეტეხის ციხეში გარკვეული დროის განმავლობაში მისი ჩასმით. ეს რომ მართლაც ასე მოხდა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ი. გრიშაშვილს თავისი რამდენიმე ლექსი სწორედ იქ ყოფნის დროს აქვს დაწერილი, რასაც თავადვე აღნიშნავს ამ ლექსებისთვის გაკეთებული მინაწერებით.

რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული თავისი ლექსებით იოსებ გრიშაშვილმა მიზანმიმართულად გააგრძელა XIX საუკუნის ქართული მწერლობის დიდოსტატთა შემოქმედებაში საფუძველჩაყრილი ტრადიცია რუსული კოლონიალიზმის მხილებისა და კრიტიკისა. მაგალითად, 1920 წლის 20 ივნისს, საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელ საქართველოსთან ვითომცდა სამშვიდობო და მეგობრული ხელშეკრულების გაფორმებიდან სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, დაწერილ ლექსში - „რა გიჭირთ...“ რუსეთისადმი, როგორც ჩვენი ქვეყნის აგრესორი სახელმწიფოსადმი, მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება მან ილია ჭავჭავაძის პოეტური სტრიქონების პერიფრაზის მოშველიებით ამგვარად გამოსატა:

რა გიჭირთ! ყველგან კარი გეღებათ,
ხომ გაიმარჯვებ დალატით ჩვენზე!
წაიღებთ ეხლა, რაც წაგეღებათ,
რომ კრამიტს არც კი დასტოვებთ სხვენზე.
თქვენ ჯარს ვერ შეჰქმნით ამგვარ ბანდიდან,
უმეთაუროდ, უწინამძღოლოდ.
დღეს ყაზბეგიდან დარუბანდამდე
თქვენდამი ზიზღი გუგუნებს მხოლოდ...
მაგრამ არ ვაქებ ხანას სასტიკსა,
ვიტყვი ილიას ამ სიტყვებს მეცა:
„რაც კარგი სურდეს რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსვე მისცეს ასკეცად“.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, რუსეთისადმი იოსებ გრიშაშვილის კრიტიკულ-ოპოზიციურმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე მას შემდეგ შეიძინა, რაც თავისი ანტიკომუნისტური სულისკვეთების გამომხატველი ლექსების შექმნის გამო, 1922 წელს, თავად ისიც აღმოჩნდა მეტეხის ციხეში გამომწყვდეული. მაგალითად, აი, როგორ გამოსატავდა პოეტი რუსული აგრესიისადმი თავის გულისწყრომას პატიმრობის პერიოდში დაწერილ ერთ-ერთ ლექსში:

ო, ჩემო ტფილისო, არც კვდები, არც რჩები
და გდინარ უძრავად საფლავის ლოდინით.
აჯანყდა სხეული ამდენი ლოდინით...
იყუჩე, პოეტო, ასე არ დარჩები!
და ვინც კი დახვრიტეთ, იცოდეთ, ის ტყვია
ქართველებს გულებში სახსოვრად გვიწყვია.

აღნიშნული მდგომარეობით განპირობებული დეპრესიული განწყობილება მეტეხის ციხეში გამოკეტილ პოეტს დროდადრო იმდენადაც კი უმძაფრდებოდა, რომ კომმარად ქცეული რეალობისაგან თავის დასაღწევად ზოგჯერ საკუთარი სამშობლოდან გადახვეწასაც კი ფიქრობდა. მაგალითად:

აქ არ მინდა! აქ ყველაფერს პირუკუღმა სთხრიან, ჰყრიან...
აქ მე ტირილს მიკრძალავენ, აქ მე სიტყვებს მიკორტნიან.

აქ რა მინდა, აქ როდესაც ჩამოინგრა ბურჯი ხიდის,
აქ რასაც ვწერ, მეგობრებო, კალმის იქით ველარ მიდის...
წავალ, წავალ უცხო მხარეს ამ სიტლანქეს დაუჩვევი,
გამარჯვებას თუ ვერ ვნახავ, დამარცხებას გადვურჩები.
აქ რა მინდა! აქ უაზროდ მიწას ვტკეპნი, ჰაერს ვცნოსავ,
თავისუფალ საქართველოს უცხოეთში დავინახავ!

იოსებ გრიშაშვილის ეროვნული თვალთახედვის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო 1923 წელს დაწერილ მის პოეტურ ელეგიას „წერილები ბოთლში.“ სამწუხაროდ, ხსენებული ლექსიცა და მისი ავტორის ვინაობაც გასული საუკუნის ბოლომდე იყო უცნობი. ლექსის ფრაგმენტი სახელწოდებით „წერილი სამშობლოდან“ საქართველოში პირველად გაზეთ „კალმასობის“ 1998 წლის 17 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ავტორის მიუთითებლად. ლექსის ბოლოს დართული მინაწერით, გაზეთის გამომცემლები მკითხველებს თხოვდნენ, თუ ვინმემ იცოდა ლექსის ავტორის ვინაობა, უსათუოდ შეეტყობინებინათ მათთვის. როგორც ნ. გრიგორაშვილის მიერ მიკვლეული საარქივო მასალებით გაირკვა, ეს პოეტური ელეგია ი. გრიშაშვილის მიერ იყო შექმნილი 1923 წლის 2 აგვისტოს.

ხსენებული ლექსის სრული ვარიანტი, იოსებ გრიშაშვილის სხვა ანტისაბჭოთა ლექსებთან ერთად, 2011 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მეხუთე ნომერშიც დაიბეჭდა ასეთი კომენტარით: „ეს ლექსი არასრული სახით დაიბეჭდა 1942 წელს გერმანიაში, ქართველ ლეგიონერთა გაზეთ „საქართველოში“. გამოქვეყნდა, როგორც უცნობი ავტორის ლექსი. საქართველოში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ცხადია, ავტორის მითითება შეუძლებელი იყო“ („ცისკარი“, 2011: 6).

უცხოეთში გახიზნული თანამემამულისათვის გაგზავნილ ამ პოეტურ ბარათში იოსებ გრიშაშვილი შემადრწუნებელი ფორმით წარმოაჩენდა იმ ტრაგიკულ ვითარებას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში. ძმათა საფლავზე განმარტოებულს, მას თითქოს ცხადად ჩაესმის მტრის წინააღმდეგ გამართულ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ ქართველ პატრიოტთა ამოძახილი სამარადიანი: „დაკვცეთ დროშა, გავტეხეთ ჯვარი“. ლექსის ბოლო სტროფებში პოეტის სულიერი სასოწარკვეთა კულმინაციურ წერტილს აღწევს და ასეთ სახეს იღებს:

ძმაო, არ მინდა შენც დამაობლო, ჩემი ლექსები სხვის კარზე ჰქროდეს,
თუ პოეზიას არ აქვს სამშობლო, პოეტს სამშობლო ხომ უნდა ჰქონდეს.
და მე არ ვიცი, თუ რომელ ალაგს ამოვა ახლა დილის აისი,
დღეს გორგასლანის სატახტო ქალაქს მხოლოდ სახელი შერჩა თავისი.
ყველა მივიღეთ დებად და ძმებად, ვინც გვასახელა საზიზღარ ქცევით,
ხელში კორძები დაგვაქვს ბეჭდებად ამდენ კუბოთა მალლა აწევით.
მშვიდობით! და გთხოვთ, რომ ჩემი გვამი თუ დაიცხრილა ქალაქის გარეთ,
დაწვით და ფერფლი ჰაერნასვამი პოეტებს თავზე გადააყარეთ.

როგორც ემიგრანტი პოეტის - აკაკი პაპავას (1890-1964 წწ.) ლექსიდან - „პასუხად ძველ მეგობარს“ (დაწერილია 1956 წელს) ირკვევა, ი. გრიშაშვილის პოეტური ბარათის აღრესატი სწორედ იგი უნდა იყოს, რაც ამკარად ჩანს ზემოთ დასახელებული იმ ლექსიდან, რომელიც ხსენებული ნაწარმოების საპასუხოდ დაწერილ ქმნილებას უნდა წარმოადგენდეს. ეს რომ ნამდვილად ასეა, ეს იმითაც დასტურდება, რომ ა. პაპავას ნაწარმოებში ი. გრიშაშვილის ლექსის ზოგიერთი სტრიქონი ზუსტი შესატყვისობითაც კია გამეორებული. მაგალითად:

მწერ, რომ ღრმა სევდა შენს გულს დააჩნდა ჩვენი რაზმების უკან დახევით,
კორძები ბეჭდათ ხელზე დაგაჯდა „ამდენ კუბოთა მალლა აწევით...“

ა. პაპავა გულისტკივილით იზიარებს ძველი მეგობრის პატრიოტულ წუხილს და, როგორც თავადაც თებერვლის ტრაგიკულ დღეთა უშუალო მონაწილე, თვითონაც იხსენებს იმ მოვლენათა ცალკეულ ეპიზოდებს. მაგალითად:

დრომ დაგვაშორა: ვერ შევსძელ ბრძოლა, კოჯორის მთაზედ ვეგდე დაჭრილი,
რუსის ყუმბარამ გადამიქროლა და სისხლისაგან ვიქმენ დაცლილი.

ურიცხვი მტრები შემოგვესია, ჩვენი ჯარები იქმნა დაშლილი;
გახსოვს, სამშობლოს ვით უკვნესია, რომ მისი დრომა სჩანდა დახრილი?...
მას შემდეგ აქ ვარ, სხვათა მხარეში, უცხო ჭიშკართან ცრემლად ვიდვრები,
ბოლმა მიმყვება თან სამარეში, რომ ასე დავთმეთ ჩვენი საზღვრები.

და მაინც, მიუხედავად იმ სასოწარკვეთისა, რითაც ორივე პოეტის გულია შეძრული, ა. პაპავა ცდილობს, ძველ მეგობარს გამამხნევებელი სიტყვა უთხრას, იმედი გაუღვივოს და კვლავ სამშობლოს სადარაჯოზე ერთგულ ჯარისკაცად დგომისკენ მოუწოდოს:

დღესაც იმას გთხოვთ: დარჩით ერთგული, ნასკნელი მოჰკრიფეთ ძალი,
კვლავ განმიმტკიცეთ რწმენა ქართული და შენც იმედის მომაპყარ თვალი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იმ უპრეცედენტო დევნა-შევიწროებისა და რეპრესირების გამო, რომელსაც ი. გრიშაშვილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ათწლეულში განიცდიდა, იგი თითქმის მთლიანად ჩამოშორდა პოეზიას და ძირითად საქმიანობად მეცნიერული კვლევა-ძიება გაიხადა. ეს გარემოება შექმნილი ვითარებით განპირობებულ გადაწყვეტილებას რომ წარმოადგენდა, ამას სიკო ფაშალიშვილისადმი მიძღვნილი მისი ლექსიდან (1931 წ.) დამოწმებული ეს ფრაგმენტიც ადასტურებს:

ძმაო პოეტო! ეს წერილი ლექსი არ არის,
შენც კარგად იცი, ლექსებისთვის არა მცალიან.
მე ჩავიძირე ძველმანების სქელ ნიჟარებში,
სადაც ძვირფასი მარგალიტის მადანი ბუდობს
და მარტოოდენ საქართველოს წარსულით ვსუნთქავ.

სწორედ აღნიშნული გარემოების სამწუხარო შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 1920-იან წლებში, ავტორის პოეტური ნიჭის ზეობის იმ პერიოდში, როცა მან მისი შემოქმედების არაერთი საუკეთესო ნიმუში შექმნა, ი. გრიშაშვილის პოეზია მხოლოდ ოცდაათიოდე ახალი ლექსის დაწერითა და ორი პოეტური კრებულის გამოცემით (1930 წელს – „ექვსი ლექსი“ და 1939 წელს – „ახალი ლექსები“) შემოიფარგლა.

დასკვნა: როგორც ვნახეთ, 1910-1920-იან წლებში შექმნილ ლექსებში იოსებ გრიშაშვილმა ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოახატა თავისი კრიტიკულ-ოპოზიციური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსული ოკუპაციისადმი. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამ ლექსების მხოლოდ ნაწილი იყო გამოქვეყნებული, ხალხში ამგვარი სულისკვეთების გამომხატველი ეს პოეტური ქმნილებანი ფართოდ ვრცელდებოდა ხელნაწერების სახით. ამ ლექსების შექმნის გამო პოეტი არაერთგზის იქცა დევნისა და კრიტიკული განქიქების ობიექტად. იოსებ გრიშაშვილისადმი ხელისუფლების მესვეურთა და საბჭოთა იდეოლოგიის მსახურ კრიტიკოსთა რეპრესიულმა დამოკიდებულებამ საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ 1930-იანი წლებიდან დაწყებული, მისი შემოქმედება აშკარად მოექცა საბჭოთა იდეოლოგიის მარწუხებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბრამიშვილი მ. უცნობი ფურცლები, გაზ. „კომუნისტი“, თბ. 1990 წ. 22 აპრილი.
გაზ. „კალმასობა“, თბ. 1998 წ. 17 თებერვალი.

გრიშაშვილი ი. ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ. 1987 წ.
გრიშაშვილი ი. საქართველოს მტრებს, ლექსები, თბ. 2011 წ.
გრიშაშვილი ი. უჯრაში ჩაკეტილი ლექსები, ჟურნ. „ცისკარი,“ თბ. 2011 წ. #5.
დადიანი შ. რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ. V, თბ. 1962 წ.
კვერენჩილაძე რ. წამების გზა, წიგნი I, თბ. 2014 წ.
კუკავა ი. დიდი განძია მოგონებანი. გაზ. „თბილისი,“ 1988 წ. 7 მარტი.
მაცაბერიძე მ. სხვა 25 თებერვალი. სამი გაზეთი თავისუფალი საქართველოსთვის, თბ. 2014 წ.
პაპავა ა. მოწამეთობა, ლექსები, ნიუ-იორკი, 1962 წ.